შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№35 (9.551)

21 სექტემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

მომავლის კლასი და სიახლეები პირველ სკოლაში

17 სექტემბერს 2012-13 სასწავლო წელი არაერთი სიახლით დაიწყო დედოფლისწყაროს პირველმა საჯარო სკოლამ. სკოლის ეზოში გაიმართა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული პირველი დღის აღსანიშნავი ღონისძიება, რომელიც ტრადიციულ სახეს ატარებდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, წელს პირველ საჯარო სკოლაში 46 პირველკლასელი შევიდა. ისინი ორ ჯგუფად გადანაწილდნენ.

სკოლის ეზოში გამართულ მისასალმებელ ღონისძიებაზე მოსწავლეებს სიტყვით მიმართეს და სწავლის დაწყება მიუღოცეს სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა, დეკანოზმა ნიკოლოზმა ლომსაძემ, დედოფლისწყაროს ყოფილმა მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში — ავთანდილ ლეკაშვილმა და Peace Corp-ის მოხალისემ ამავე სკოლაში ჯონათან ბრენდსმა. ღონისძიებას ესწრებოდა ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სოსო უზუნაშვილიც.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი და სამოქალაქო კლუბის „სპექტრი“ ლიდერი სოსო ჩუთლაშვილი და ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებული მერი ქადაგიძე. ღონისძიებაზე ელექტრონულ გიტარაზე კომპოზიციები წარმოადგინა გიორგი აგლაძემ და ქეთი ჩაფიაშვილის მიერ შესრულდა თავად მის მიერ სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილი სიმღერა.

როგორც №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სკოლა სიახლეებითა და განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

მისი განმარტებით, ამოქმედდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტი SpectRoom-ი (სკოლისა და თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ერთობლივი დაფინანსებით), ჰემინგუეის სახელობის ინგლისურის მულტიმედიური ცენტრი (Peace Corp-ის დაფინანსებით) და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებული მომავლის კლასი. შეიღება პირველი და მეორე სართულების დერეფნების ნაწილი. მოსწავლეების ხარჯებითა და ფიზიკური ჩართულობით გარემონტდა სამი საკლასო ოთახი (IXბ, Xა, Xბ).

სკოლაში არსებულ სიახლეებს ადგილობრივი ხელისუფლებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლები დეტალურად გაეცნენ.

სკოლის დირექტორმა გასული სასწავლო წლის ნომინაციებიც დაასახელა:

ნინო სეფიაშვილი — ***წლის თვითმმართველობის სიმპათია;*** სოსო ჩუთლაშვილი — ***წლის რეიტინგული მოსწავლე;*** გიგი იაკობიშვილი - ***წლის საუკეთესო მოსწავლე;*** ქეთი ჩაფიაშვილი — ***წლის შემოქმედი;*** მერი ქადაგიძე — ***წლის წარჩინებული აკადემიური მოსწრების;***

„ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, ამ ნომინაციაში დასახელება. რა თქმა უნდა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით, როგორც ჩემს პედაგოგებს, ისე სკოლის დირექტორს და ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ერთ-ერთ ნომინაციაში დასახელებულმა მოსწავლემ გიგი იაკობიშვილმა.

მათი დაჯილდოების ცერემონია უახლოეს დღეებში, სკოლის მიერ საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენის პარალელურად მოხდება.

(დასასრული მე-4 გვ.)

ძალადობას ძალადობით ვერ დაამარცხებ!

ამ დღეებში მთელი საქართველო შეძრა ვიდეომასალამ, რომელიც გლდანის მერვე საპყრობილეში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ასახავდა. ამ მასალის ნახვამ ერთნაირად იმოქმედა ყველა ადამიანზე, განურჩევლად რანგისა. საქართველოს პრეზიდენტმა შეშფოთება გამოხატა პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარების გამო და სპეციალურ უწყებებთან თათბირი გამართა სიტუაციის დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით. მან განაცხადა, რომ პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, აქ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც სისტემის სირცხვილად იქცნენ.

ქართველმა სტუდენტებმა ნაწამებ პატიმრებს სოლიდარობა გამოუცხადეს და აქციაზე არ მიიკარეს არცერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი. ისინი ამ ჟესტით მკვეთრად გაემიჯნენ პოლიტიკას და საკითხის პოლიტიზირების უფლება არავის მისცეს. ისინი ბაჩო ახალაიას გადადგომას მოითხოვდნენ. მათი მოთხოვნა თავად ახალაიამ დააკმაყოფილა და გადადგა. სტუდენტებმა პატრიარქთან კონსულტაციის შემდეგ აქციისშეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა არა ყველამ...

ძალადობა ნებისმიერ საზოგადოებაში დასაგმობია, მით უფრო დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებმა ერთხმად დაგმეს საპატიმროში მომხდარი ფაქტები და თქვეს, რომ ეს მთელი ერის სირცხვილია. მათ გაიხსენეს წარსული ს მაგალითები და აღნიშნეს, რომ არსებობდა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი, მაგრამ იქ ასე სასტიკად „მტრებს“ — ებრაელებს უსწორდებოდნენ გერმანელები, ჩვენს ციხეში კი ქართველი ქართველს უსწორდება. ეს თითოეული ქართველის ღირსების საქმეა-თქვეს მათ. მთავრობის წევრებმა პასუხისმგებლობა აიღეს-გადადგა ორი მინისტრი, დაკავებულები არიან პატიმრების წამებაში მონაწილეებიც, თუმცა ახლა ყველაზე მეტად სიმშვიდის შენარჩუნება და გონიერება გვმართებს ყველას.

ფსიქოლოგები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ უნდა მოხდეს როგორც პატიმართა რეაბილიტაცია, ასევე საზოგადოება უნდა გაუფრთხილდეს იმ ადამიანების შვილებსა და ოჯახის წევრებსაც, რომლებიც პატიმართა არაადამიანური მოპყრობის გამო დაეკავეს. დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ ძალადობას ძალადობით ვერ დაამარცხებ, ნებისმიერი ძალადობა ახალ დანაშაულს წარმოშობს. მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული და მიტევების უნარი თუ გადაგვარჩენს ქართველებს და კიდევ, კანონისადმი მორჩილება, თუ რა თქმა უნდა, სამართლებრივ და დემოკრატიულ საქართველოში გვსურს ცხოვრება.

ინგა შიოლაშვილი

მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადაეცათ

გვ. 3

„მსოფლიო პარკების დღე“ ხორნაბუჯში

გვ. 3

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 1 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი

მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

მიხეილ სააკაშვილი: „ასე აღშფოთებული ცხოვრებაში არ ყოფილვარ“

„არ შეიძლება, საქართველოში კიბოს უჯრედები კიდევ არსებობდეს“, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების გადაცემის ცერემონიალის დროს გლდანის ციხეში შექმნილი ფაქტის კომენტირებისას.

„ის, რაც ვნახე, რაც აღმოჩნდა, რომ ხდებოდა გლდანის საპყრობილეში და იმ ჯგუფის მოქმედება, რომელიც ყველამ დავინახეთ, ეს არის ის ყველაფერი, რაც მეზიზღება, ის რისი წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ ახალ საქართველოში კიდევ შესაძლებელია. ამის ცალკეული უჯრედები კიდევ არსებობდნენ, ნამდვილი კიბოს უჯრედები ჩვენს ორგანიზმში. ეს არის ის, რაც საქართველოში ფეხამოკვეთილი და დამარცხებული მეგონა“, - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი განცხადებით, ის, რაც გლდანის ციხეში მოხდა, რვა წლის წინ საქართველოს მუდმივი რეალობა იყო.

„ის, რაც ვნახეთ, რვა წლის წინ ჩვენი ყოველდღიური რეალობა იყო. კარგად მახსოვს, შსს-ის ფანჯრიდან ხალხი როგორ ცვიოდა, კარგად მახსოვს, ცემით რომ მოკლეს მძღოლი მხოლოდ იმის გამო, რომ პრეზიდენტის ესკორტი არ გაატარა თავისუფლების მოედანზე და რიყეზე. მახსოვს გატაცებები, დაჭერებზე აღარ ვლაპარაკობ, ეს ყველაფერი ყველას თვალწინ ხდებოდა. ერთადერთი ადგილი, სადაც დენი ყოველთვის იყო, ეს იყო დენზე შეერთებული ადამიანები - ადგილი პოლიციაში. ის, რაც მოხდა, ადამიანურ პრინციპებს სცილდება. ეს არ შეიძლება არ იყოს საზოგადოების აღშფოთების მიზეზი. პირადად ასეთი გაბრაზებული და აღშფოთებული, პრაქტიკულად, ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ვანო მერაბიშვილი: შსს-ს საკმარისი რესურსი აქვს წესრიგის დასამყარებლად, როგორც არჩევნებამდე, ისე მის შემდეგ

„ახლა ჩვენი ქვეყნის მთავარი ამოცანაა, საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. ეს წარმოუდგენელია იქ, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალადობას. ამის უზრუნველყოფა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვალეობაში შედის“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ეკა ზღულაძესა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

პრემიერ-მინისტრი 1 ოქტომბრის არჩევნებს შეეხო და თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს საკმარისი რესურსი და გამოცდილება აქვს, რათა ქვეყანაში წესრიგის დაცვა როგორც არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში, ასევე არჩევნების შემდეგაც უზრუნველყოს“.

მერაბიშვილმა მადლობა გადაუხადა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს იმ სამუშაოსთვის, რომელსაც ისინი ბოლო დღეებში სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ასრულებენ.

ეკა ზღულაძე: „ხალხი არჩევანს თავისუფალ და მშვიდ გარემოში გააკეთებს“

ჩვენი ხალხი გააკეთებს არჩევანს თავისუფალ და მშვიდ გარემოში, - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლმა ეკა ზღულაძემ მინისტრის ბაჩო ახალაის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ.

„საქართველოში არ არის ადგილი ძალადობისთვის და ეს სამინისტრო უზრუნველყოფს, რომ ჩვენი შვილები და ჩვენი მშობლები თავს გრძნობდნენ დაცულად და თავისუფლად. მათ შორის არჩევნებზე. რომელიც სულ რაღაც 12 დღეში გველოდება წინ. ჩვენი ხალხი გააკეთებს არჩევანს თავისუფალ და მშვიდ გარემოში. ეს სამინისტრო იქნება ამის გარანტორი“, - განაცხადა ზღულაძემ.

აღარასოდეს უკან არ დავბრუნდებით და მე ვაძლევ საკუთარ თავს ამის თქმის უფლებას იმიტომ, რომ მე თვითონ 18 წლის წინ ვიყავი პოლიციის ძალადობის მსხვერპლი, - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლმა ეკა ზღულაძემ მინისტრის ბაჩო ახალაის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ.

„ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველომ შეძლო თანამედროვე და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის საფუძველის ჩაყრა, მათ შორის პოლიციის რეფორმამ და ზოგადად, სამართალდამცავი სტრუქტურების გარდაქმნამ უზრუნველყო ორმხრივი ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავ სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის. ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ემსახურება ხალხს კანონის ასრულების გზით. ეს ნდობა არის, ალბათ, ყველაზე დიდი მიღწევა ყველა იმ რეფორმას შორის, რომელიც საქართველოში ჩატარებულა. ეს სამინისტრო აშენდა, რათა ემსახუროს ქართველ ერს, აღმოფხვრას ძალადობა, კორუფცია, დანაშაული, უკანონობა, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დიდი ნაწილი იყო. ჩვენ შევძელით არა მარტო კორუფციის დაძლევა არამედ ძალადობის და წამების რუტინული პრაქტიკის აღმოფხვრა პოლიციაში. დღეს ჩვენ ციხეში ჩადენილი ამაზრზენი დანაშაულის საპასუხოდ მე ვუზრუნველყოფ, რომ საპატრულო პოლიცია იყოს ბატონი გიორგი ტუღუშის - პენიტენციალური სისტემის ახალი მინისტრის სრულ განკარგულებაში და მიეხმაროს ამ სისასტიკის ციხეში აღმოფხვრაშიც. იყო დრო, როცა ყველა სახელმწიფო უწყება საქართველოში ისეთივე დახურული და სასტიკი იყო, როგორც ეს ციხე, იყო დრო, როცა ორგანიზებული დანაშაული ანგრევდა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს დრო დამთავრდა და აღარასოდეს უკან არ დავბრუნდებით და მე ვაძლევ საკუთარ თავს ამის თქმის უფლებას იმიტომ, რომ მე თვითონ 18 წლის წინ ვიყავი პოლიციის ძალადობის მსხვერპლი. ამიტომ ძალიან კარგად მაქვს გათავისებული ეს სიტყვები და ის ვითარება, რომელიც საქართველოში დღეს არის“, - განაცხადა ზღულაძემ.

გიორგი ტუღუში: სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პრობლემები დღეს და ხვალ ვერ მოგვარდება

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პრობლემები დღეს და ხვალ ვერ მოგვარდება, თუმცა ყველაფერი გაკეთდება, რომ პატიმარი დაცული იყოს, - განაცხადა გლდანის საპყრობილიდან გამოსულმა ახალმა მინისტრმა გიორგი ტუღუშმა, რომელმაც პატიმრები მოინახულა.

„სასჯელაღსრულების დაწესებულების ის თანამშრომლები, რომლებიც პატიმრებზე ძალადობას ახდენდნენ, ყველა მოხსნილია. ამ დროისთვის 1 500-მდე ოჯახის წევრმა უკვე მოინახულა მსჯავრდებულები და ორი დღის განმავლობაში ყველა მოინახულებს თავის მსჯავრდებულს“, - განაცხადა მინისტრმა.

გიორგი ტუღუშმა პირობა დადო, რომ პატიმრებს აღარ შეეხებიან და არაფერი არ დაუშავდებათ.

გიორგი ტუღუში სასჯელაღსრულების მინისტრად დაინიშნა

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში დათანხმდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეთავაზებას, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის პოსტზე მისი დანიშვნის შესახებ. ტუღუშის განცხადებით, მისთვის „ყველაზე დიდი მოტივაციის მომცემი“ არის ის ფაქტორი, რომ შეეძლება „გარდატეხის“ შეტანა და საქართველოში ისეთი პენიტენციალური სისტემის შექმნის ხელშეწყობა, რომელშიც არა მარტო აღმოიფხვრება ბოლო დროს გამოაშკარავებული მძიმე დანაშაულები, არამედ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი პატიმრების პრობლემები. ტუღუში დაჰპირდა პატიმართა ახლობლებს, მშობლებს, რომ მათი ოჯახის წევრები მაქსიმალურად იქნებიან დაცული სასჯელაღსრულების სისტემაში.

„დაპატიმრებულებს გრძელვადიანი პატიმრობა ემუქრებათ და სისტემაში რეორგანიზაცია გამოცხადდა, მაგრამ ამას სათავეში უნდა ჩაუდგეს მინისტრი. გიორგი ტუღუში ყველაზე მკაცრი კრიტიკოსია. მისგან ბევრ ინფორმაციას ვიღებდით, მაგრამ, სამწუხაროდ ყველაფერი ვერ გავითვალისწინეთ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

„ამიტომ ვნიშნავ ამ სისტემის ხელმძღვანელად რეალობის ძალიან მკაცრ კრიტიკოსს, გიორგი ტუღუშს და ამას შეგნებულად ვაკეთებ. ეს უნდა იყოს სხვა სისტემა. ჩვენ გვჭირდება ახალი სამინისტრო, სისტემა, რომელიც გამორიცხავს პროვოკაციებს, შეგნებით თუ შეუგნებლად ასეთი ტიპის დანაშაულებს. გიორგი ტუღუში არის წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო კომიტეტის წევრი, არის ერთ-ერთი უძლიერესი ექსპერტი ადამიანის უფლებების დარგში და აქვს ძალიან მნიშვნელოვანი განათლება. მას ასევე ბევრი უბრძოლია ამ სისტემის გასაუმჯობესებლად. ყველანაირი პოლიტიკური მანიპულაცია მიუღებელია ამ თემებზე. ჩვენ უნდა ავაშენოთ საზოგადოება, სადაც იქნება ნულოვანი ტოლერანტობა დანაშაულისა და ადამიანის უფლებებს დარღვევის მიმართ. ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. რადიკალურ გამოწვევებზე ჩვენ იმაზე რადიკალური პასუხი გვაქვს, ვიდრე შეიძლებოდა რომელიმე ქვეყანას ეს გაეკეთებინა. მიხარია,რომ ადამიანმა, რომელიც პოლიტიკოსი არ არის, ამ რთული გამოწვევის წინაშე უკან არ დაიხია“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

„ალბათ ბევრისთვის განცვიფრების საგანია, რატომ დათანხმდა ომბუდსმენი ამ გამოწვევას, თუმცა მინდა გითხრათ: აქამდე მე ვწერდი, დოკუმენტირებას ვახდენდი და ვაწვდიდი ხელისუფლებას ჩემს ხედვას. თუმცა, როგორც თავადაც აღნიშნა ბატონმა პრეზიდენტმა, ბევრი ჩემი რეკომენდაცია და მოწოდება დარჩა ყურადღების გარეშე. ახლა მე უნდა მომეცეს საშუალება, ის, რაზეც მე ვსაუბრობდი ბოლო სამი წელია, რეალურად გავატარო პრაქტიკაში“, განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის პოსტზე მან შეცვალა ხათუნა კალმახელიძე, რომელიც პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ გადადგა.

გიორგი ტუღუში საქართველოს სახალხო დამცველად საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 31 ივლისს 5 წლის ვადით აირჩია. მოვალეობის შესრულებას კი ის 2009 წლის 17 სექტემბერს შეუდგა.

ევროკავშირი ორივე მხარეს თავშეკავებისკენ მოუწოდებს

უკანასკნელ პერიოდში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა პირებმა არაერთხელ გააკეთეს განცხადება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზებთან საქართველოს მიერ სამხედრო ნაწილებისა და აღჭურვილობის ზრდის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2012 წლის 21 სექტემბერს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნულ საკითხზე განცხადება გაავრცელა:

„ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ვრცელდებოდა განცხადებები, იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ქართული ჯარისა და პოლიციის შენაერთების განლაგებას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, დამატებითი სადამკვირვებლო ჯგუფების მეშვეობით, ინტენსიურად ახორციელებდა მოცემული ცნობების მონიტორინგსა და შეფასებას და ამოწმებდა გავრცელებულ ინფორმაციას შესაბამის ორგანოებთან. მოცემული ქმედებების შედეგად, მისიამ ვერ აღმოაჩინა გავრცელებული ცნობების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ გააძლიერა პატრულირება, რათა აქტიურად დააკვირდეს ადგილზე არსებულ მდგომარეობას.

ამავე დროს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რაოდენობის ზრდა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან. მოცემულ ქმედებასთან დაკავშირებით, მისიამ რუსეთის ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან შეშფოთება გამოთქვა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია დაჟინებით მოუწოდებს ყველა მხარეს, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე“.

„ბენაურში“ სწავლა განახლდა

17 სექტემბერს ხალისიანად დაიწყო ახალი სასწავლო წელი გაძლიერებული ინგლისური სწავლების ფასიან სკოლა „ბენაურში“. ტრადიციულად სასწავლო წლის დაწყება პედაგოგებს, მოსწავლეებს და მშობლებს სკოლის დირექტორმა ცაცა ბენაშვილმა მიულოცა.

— მართალია, სხვადასხვა გზებით, უკვე მეორე წელია, ჭორებს გვივრცელებენ, თითქოს ლიცენზია არ გვაქვს, თითქოს ჩვენს ატესტატს სათანადო ძალა არ აქვს და ამის გამო ზოგიერთი ჩვენი გაზრდილი ბავშვი სხვა სკოლაში წავიდა, მაგრამ ახალი ნაკადიც შემოვიდა. ელემენტარულია, ჩვენ იატაკქვეშეთში ხომ არ ვმუშაობთ, ლეგალურად ვსაქმიანობთ, სათანადო უფლებამოსილება რომ არ გვქონდეს, ვინ გაგვაჩერებდა?! მიმაჩნია, რომ ასეთი მეთოდებით ბრძოლა არ არის საკადრებელი. საჭიროა ჯანსაღი კონკურენცია და ასეთ კონკურენციას ჩვენ ვღებულობთ. ჩვენი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანდათან გაუმჯობესდა. ორი ოთახი დავამატეთ, შევიძინეთ ბოლო თაობის ფართო პროფილის ლაბორატორია, გადავახალასეთ პედაგოგიური კოლექტივი და ახალ სასწავლო წელსაც ახალი შემართებით ვიწყებთ.ჩვენს სკოლასთან ჩამოყალიბდა უცხო ენების ცენტრი, სადაც მსურველებს შევასწავლით რუსულ და ინგლისურ ენებს სამ საფეხურად: 1.ელემენტარული, 2. საშუალო, 3. საშუალოზე მაღალი. თითოეული საფეხურის დაძლევის შემდგომ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი. მეცადინეობა ჩატარდება დღის მეორე ნახევარში. ასე რომ, ჩვენს სკოლას მუშაობის შემუშავებული გეგმა აქვს,“ — თქვა ჩვენთან საუბარზე სკოლის დირექტორმა.

სკოლაში წელს პირველ კლასში, ჯერჯერობით, ორი ბავშვია. გავესაუბრეთ მათ მშობლებს: — ჩვენ გვინდა, თავიდანვე ცოდნის მყარი საფუძველი ჰქონდეთ ჩვენს შვილებს. წარმოიდგინეთ, მასწავლებელი ორ ბავშვთან რომ იმუშავებს, მას სახლში მეცადინეობაც კი აღარ მოუნდება. მაგრამ, ნაწილობრივ გულიც გვწყდება, რომ კოლექტიურობის გრძნობის ჩამოყალიბება ორ ბავშვში გაძნელდება. სასურველია, მათ რამოდენიმე ბავშვი კიდევ შემოემატოთ. გვიკვირს, ასეთ კარგ შესაძლებლობას მშობლები ნაკლებად რატომ იყენებენ. თუმცა, ისიც გვესმის, რომ დღეს მოსახლეობის დიდ ნაწილს საჭმლის ფული არა აქვს და სწავლის საფასურის გადახდა გაუჭირდება. ზოგადად კი, ფასიან სკოლებს ნამდვილად აქვს მომავალი.

წარმატებული სასწავლო წელი ვუსურვოთ ბენაურელებს.

ნაირა გოგაშვილი

მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადაეცათ

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 6 სექტემბრის № 06/09/06 განკარგულებით, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ: ლილი კობაიძე,ჟანა ბაბაიანი, ბაბული უზუნაშვილი, გულნარა ტვილდიანი, ნანული პატაშური, ნელი ყოჩიაშვილი-შოშიაშვილი,დალი ლეკაშვილი-ჩოხელი, მარინე ოზბეთელაშვილი, ხოლო მედლებით დაჯილდოვდნენ: გივი ლაზვიაშვილი,ალექსანდრე ხატიაშვილი,მარინე ხარაშვილი, ქეთევან ნოზაძე, ვაჟა მოსულიშვილი, მანანა მაჭარაშვილი, რევაზ კოპალიანი.

20 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ემზარ ჯანაშვილმა, მთავრობის უმაღლესი ჯილდოები გადასცა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დაჯილდოვებულ ადამიანებს.

— მაქვს პატივი, მოგილოცოთ და საქართველოს პრეზიდენტის სახელით გადმოგცეთ მთავრობის უმაღლესი ჯილდოები, კვლავაც წარმატებულ საქმიანობას გისურვებთ — აღნიშნა ბატონმა ემზარმა.

დაჯილდოებულებმა მადლიერება გამოხატეს პრეზიდენტის და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და აღნიშნეს , რომ ეს მათთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო.

„მსოფლიო პარკების დღე“ ხორნაბუჯის სკოლაშიც აღნიშნეს

უკვე მეხუთე წელია, მსოფლიო პარკების დღეს აღინიშნავს, საქართველოში ეს დღე წელს პირველად აღინიშნა. პროექტს ევროკავშირის დაფინანსებით კომპანია „mercy corps“-ი არასამთავრობო ორგანიზაცია „cenn“-თან, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო

ორგანიზაციების ქსელთან ურთიერთთანამშრომლობით ახორციელებს და ის საქართველოს რეგიონების ფლორითა და ფაუნით გამდიდრებას ემსახურება. დედოფლისწყაროში აღნიშნული პროექტის მენეჯერი კობა ალუღიშვილი გახლავთ, რომლის მიზანი ჩვენი რაიონის გარემოს დაცვა და მწვანე საფარიანი ხეივნების გაშენებაა. სწორედ ამას ემსახურებოდა 18 სექტემბერს ჩვენს რაიონში განხორციელებული ღონისძიება. 50 იტალიური კატალპას ნერგი, ეს ის პროდუქტი გახლავთ, რომელიც პროექტის ფარგლებში ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ეზოში საზეიმო ვითარებაში დაირგო. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ამავე სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე №1 და №2 საჯარო სკოლის უფროსკლასელები. პროექტს მხარს უჭერდნენ და მონაწილეობას ღებულობდნენ ასევე ადგილობრივი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები - გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ემზარ ჯანაშვილი, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ანა ბენაშვილი და საკრებულოს აგრარული და გარემოსდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გელა თეთრაული. ღონისძიება სიტყვით პროექტის მენეჯერმა გიგა სარუხანიშვილმა გასნა და მოკლედ მიმოიხილა პროექტის მიმართულებების შესახებ. ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან სიტყვა გადასცეს გელა თეთრაულს. ამის შემდეგ მონაწილე ბავშვები მათ მიერ დარიგებულ „მერსიქორფსის“ მაისურებში გამოეწყვნენ და სამუშაო იარაღებით ხელში იტალიური კატალპას ნერგების დარგვას შეუდგნენ.

- წლების მანძილზე მქონდა იმის სურვილი, რომ ამ სკოლაში ყოფილიყო ცოცხალი ხეივანი და აი, ჩემი ოცნება ახდა, სიამოვნებით დავთანხმდი პროექტის ხელმძღვანელებს, რომ აღნიშნული ღონისძიება სწორედ ამ ეზოში განეხორციელებინათ, ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ბავშვების მზაობას, რათა მათ ისწავლონ ბუნების მოვლა და იცოდნენ მისი ფასი. ამასთან, როცა ეს ნერგები გაიზრდება, მისი ხეივანი სკოლის გარემოს სასიკეთოდ წაადგება, როგორც ესთეტიკურად ასევე ჰაერის სისუფთავის მხრივ. ამიტომ პირადად ვიღებ ვალდებულებას, ვიზრუნო და გადავარჩინო თითოეული ნერგი, არ დავუშვა, რომ ეს ეზო კვლავ ტრამალად იქცეს, ამიერიდან ამ ეზოში ველარ შემოვა ვერცერთი გარშემომყოფის საქონელი და თუ ეს კვლავ მოხდება, დაუყოვნებლივ მოვიხმობ პატრულს. მადლობა ამ საშვილიშვილო საქმისთვის პროექტის წარმომადგენლებს, პროექტის მენეჯერს კობა ალუღიშვილს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას,“ - აცხადებს ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორი ლალი მენთეშაშვილი.

- „მსოფლიო პარკების დღე“ წელს პირველად ტარდება საქართველოში, პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით და ჩვენი ორგანიზაცია „მერსიქორფსისა“ და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, თავდაპირველად აღნიშნული პროექტი კახეთში, კერძოდ კი, სიღნაღში ან საგარეჯოში უნდა განხორციელებულიყო, თუმცა თქვენმა მენეჯერმა, კობა ალუღიშვილმა ყველას აჯობა და დედოფლისწყაროს ერგო წილად ინიციატივა. პროექტი საკმაოდ ფართომასშტაბიანია და ის სომხეთსა და აზერბაიჯანის ქვეყნებსაც მოიცავს. დღეს ამ აქციაში მონაწილეობას იღებენ სამი სკოლის მოსწავლეახალგაზრდობა და სკოლის პედაგოგები, ასევე ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ, ჩვენ გავაფორმებთ მემორანდუმს ხორნაბუჯის სკოლის დირექციასა და ჩვენს ორგანიზაციას შირის და ეს თანამშრომლობა გაგრძელდება. “ - აცხადებს პროგრამის ოფიცერი ლიკა მარღანია.

- ამგვარ ღონისძიებაში ბევრჯერ მიგვიღია მონაწილეობა და ის მისასალმებელია ჩვენთვის, მით უმეტეს ახლა ძალიან ბევრს საუბრობენ მსოფლიო გლობალური დათბობის აუცილებლობაზე, ეს საკითხი მით უფრო ჩვენი რაიონის მოსწავლე - ახალგაზრდობისთვის, ვინაიდან აქტიურად განიხილება საკითხი დედოფლისწყაროში მიწის დეგრადაციას რეალური საშიშროებისა და გაუდაბნოების საფრთხის შესახებ. ჩვენ მზად ვართ ამ მოვლენას მკაცრად აღვუდგეთ წინ და ვიზრუნოთ ჩვენი რაიონის მწვანე საფარის გამრავლებისთვის,

დღევანდელი აქცია სწორედ ამ ინიციატივის ერთერთი გამოხმაურებაა, ჩვენს ირგვლივ უამრავი ტრამალია, რომელიც ნარგავებით უნდა შეივსოს, რათ, თავიდან ავიცილოთ გაუდაბნოების საფრთხე, ჩვენ ვიამაყებთ წლების შემდეგ იმით, რომ ამ საქმეში მცირედი წვლილი ჩვენც შევიტანეთ. კატალპას ხე ძალიან ლამაზი ყოფილა, მისი ჩვენი სკოლის ეზოში დარგვა ხელს შეუწყობს გარემოს გალამაზებას და სუფთა ჰაერის მიღებას, რაც ისევდაისევ ჯანმრთელობის გარანტი იქნება. “-აცხადებენ „შირაქთან“ საუბარში ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები ანჟელა გურგენიანი და თამუნა ხარაიშვილი.

მოსწავლეებმა და პროექტის ინიციატორებმა სიამოვნებიით მიიღეს მონაწილეობა მშვენიერი კატალპას ნერგების დარგვასა და მორწყვაში, რითაც ხეივნის გაშენების პირველი საფეხური დაასრულეს.

ლალი მეხრიშვილი

მომავლის კლასი და სიახლეები პირველ სკოლაში

(პირველი გვერდიდან)

გადალახულ დაბრკოლებებზე, პედაგოგიურ კოლექტივში წარსულში არსებულ უთანხმოებებზე და სამომავლო გეგმებზე გაზეთ „შირაქთან“ ვრცლად ისაუბრა №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა.

„მიმდინარეობს სახელმძღვანელოების გაცემა, სარემონტო სამუშაოები სწავლის დაწყებამდე 2 დღით ადრე დასრულდა, მის მონიტორინგსაც საქართველოს განათლების სამინისტრო ახორციელებდა. 83 სოციალურად დაუცველი ოჯახის მოსწავლე გვყავს, ამას დამატებითი სიებით 7 მოსწავლე, დაემატა. ამას გარდა, მრავალშვილიანი ოჯახის 52 მოსწავლე მიიღებს სახელმძღვანელოებს. სკოლასაც გააჩნია გარკვეული რეზერვი და ამის მეშვეობით დავეხმარებით ობოლ ან სხვა კატეგორიის ბავშვებს, ჯერ ამაზე ჩამოყალიბებულები არ ვართ. გასულ წლებთან შედარებით ამჯერად ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. გაცილებით დიდი უპირატესობა ენიჭება საბუნებისმეტყველო საგნებს. ფაქტობრივად, პილოტირება მიმდინარეობს, ექსპერიმენტის შედეგად ინერგება საბუნებისმეტყველო სწავლების ახალი მოდელი. ბოლო წლებში ეროვნული გამოცდების შედეგებმა გვაჩვენა, რომ ქვეყნის მასშტაბით საბუნებისმეტყველო საგნების შედეგები ძალზე მოიკოჭლებდა. ჩვენც მხარი ავუბით ამ სიახლეს, გასულ წელსაც გავამახვილეთ ყურადღება ფიზიკის გაძლიერებაზე. წელსაც ზოგიერთ კლასში ფიზიკისა და ქიმიის სწავლებას გავაძლიერებთ და საათებს დავუმატებთ.

– სერტიფიცირებული პედაგოგების მხრივ რა ვითარებაა თვენს სკოლაში?

– ამ ეტაპზე გვყავს 21 სერტიფიცირებული პედაგოგი, რაც ძალიან საამაყოა. მათ შორის ათას ლარიანი სამი მასწავლებელია. თითო საგანში პროფესიულ უნარებში გვყავს წარმატებული მასწავლებლები, თუმცა მათ ჯერ

„ჩვენი კომპეტენცია გამოცდებზე დავამტკიცეთ, ამ შედეგით თბილისის სკოლებიც ვერ დაიტრაბახებენ“

სერთიფიკატი არ მიუღიათ. ისინი ემზადებიან ახალი ეტაპისთვის, რომელიც იანვარში გამოცხადდება და შუა წელში შესაძლოა კიდევ დაგვემატოს სერთიფიცირებული პედაგოგები. წელს ორი პირველი კლასი გვაქვს, გასულ წელს სამი კლასი იყო. აქედან გამომდინარე, ბუკებით აღჭურვილი სულ 5 კლასია, ამ კლასებში ე. წ. „ვაიფაის“ მოწყობილობა აუცილებელია, რათა დისტანციური გრაფიკი დაინერგოს. ორი კლასი პარალელურ რეჟიმში ისარგებლებს.

სულ მალე კაბინეტურ სისტემაზე გადავდივართ, წლის ბოლომდე კიდევ დავგეგმავთ, რა ტიპის კაბინეტის მოწყობა არის შესაძლებელი. ეს ძალიან საპასუხისმგებლო და რთული პროცესია. კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა ნიშნავს, რომ საკლასო ოთახები გვაკლდება და ბავშვების გადანაწილების პრობლემა დგება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეუფერხებლად და დროულად მოხდეს ბავშვების დროული გადაადგილება ერთი კაბინეტიდან მეორეში. მანდატურის სამსახური ძალიან გვეხმარება, უნდა ვაღიარო, რომ მანდატურის ინსტიტუტმა, თუმცა, ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. ჩვენ უდისციპლინობას არასოდეს ვუჩიოდით, მით გარკვეული პასუხისმგებლობა მოგვეხსნა და ეს ამ სამსახურმა გადაიბარა და ჩვენ მეტი დრო გვრჩება შემოქმედებითი პროცესისთვის.

– რამდენიმე ახალი კაბინეტი ამოქმედდა, რა სახსრებით მოეწყო ისინი?

– მომავლის კლასი, ანუ „ჯეოკლასი“ სამინისტრომ მოაწყო, ის საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია. დაახლოებით 30 ათას ლარამდე ღირებულების მხოლოდ ტექნიკა არის შემოტანილი, ერთი ამდენიც კეთილმოწყობის სამუშაოებს მოხმარდა. მთლიანად თანამედროვე ტექნოლოგიებით არის გაწყობილი, როგორც მერხები, ციფრული დაფა და საუკეთესო კომპიუტერები.

– რა პრინციპით შეირჩა თქვენი სკოლა, რომ მომავლის კლასი მოწყობილიყო?

– საქართველოს 400 სკოლაში იგეგმება მომავლის კლასის შექმნა. დიდი სურვილი არსებობდა, ჩვენ მანამდეც გვქონდა განაცხადი წარდგენილი და როგორც აქ ჩამოსულმა წარმომადგენლებმა თქვეს, ალბათ, აქტიურობის მიხედვით შეგვარჩიეს.

ინგლისური ენის კაბინეტი ამერიკელი მოხალისის ჯონათან ბრენდსის გრანტით მოეწყო. 2 000 ლარის ღირებულების პროექტი იყო, ამას დაამატა თავისი ხელფასიც. ამას გარდა, ჯეკის მასწავლებლებმა ნატალია ვარდიშვილმა, როგორც მისმა რუსულის მასწავლებელმა და ნინო ფიროსმანაშვილმა, როგორც ჯეკის ქართულის მასწავლებელმა მშვიდობის კორპუსიდან გადახდილი ხელფასი არ აიღეს და ამ საქმეს მოახმარეს. ანუ პედაგოგთა შემონირულობაც არის. . . ნაწილით სკოლის დირექცია დაეხმარა, დაახლოებით 1 000 ლარის ფარგლებში დავაფინანსეთ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტი ჩვენს სკოლაში შექმნილი სამოქალაქო კლუბი „სპექტრის“ აქტიურობისთვის თელავის ცენტრმა მოგვიწყო, როგორც კახეთის რეგიონში ერთ-ერთ აქტიურ სკოლას. საჩუქრად გადმოგვცა 300 ლარი, რასაც დავამატეთ ჩვენი რესურსი, მაგიდები. . . ჩვენმა მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა ამ ოთახის კოსმეტიკურ სამუშაოებში. საკუთარი ხელით გაალამაზეს. ამას გარდა, ვიდეოპროექტორი გვაჩუქა ჩვენმა წარმატებულმა კურსდამთავრებულმა ექიმმა გივი ნატროშვილმა. მინდა მასაც დიდი მადლობა ვუთხრა, რადგან გასულ წელს 7 000 ლარის ღირებულების ტექნიკა შემოგვწირა, რაც ღონისძიებების მოწყობაში ძალიან გვეხმარება. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი შემომწირველები.

– მოსწავლეების ცალკეულ ნომინაციებში დასახელება გასულ წლებშიც ხდებოდა?

– გვაქვს ასეთი ტრადიცია - „ანგარიში ხალხს“, სადაც მოსახლეობას მიმდინარე აქტივობების შესახებ ანგარიშს ვაბარებთ. გასულ წელს ერთდროულად პირველად ჩავატარეთ დაჯილდოვება და ანგარიშის წარდგენა. სხვადასხვა წარმატებებისთვის სხვადასხვა ნომინაციებში ვაცხადებთ და ვაჯილდოვებთ მოსწავლეებს. იმის გამო, რომ სწავლის დაწყების დღეს სკოლის ეზოში გაცილებით მეტი მაყურებელი შეიკრიბა, ზოგიერთი მათგანი ანგარიშის წარდგენაზე მოსვლას ვერ შეძლებს, ამიტომ, ნომინაციები დროზე ადრე გამოცხადდა, მათი დაჯილდოვება კი ანგარიშის წარდგენის პარალელურად მოხდება.

– გასულ წლებთან შედარებით უამრავი სიახლეა თვალშისაცემი. . .

– წინა წლებში ჩვენს გუნდში იყო გარკვეული დაბრკოლებები, რაღაც უთანხმოებები, თუმცა საბედნიეროდ, ამჟამად პედაგოგიური კოლექტივი ერთსულოვანია. ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ ნებისმიერმა პედაგოგმა იდეა აიტაცოს და ინიციატივა განახორციელოს. საშემსრულებლო დისციპლინა და პასუხისმგებლობა ყველას უმაღლეს დონეზე აქვს. ყველა ემსახურება საქმეს და ჩვენი კომპეტენცია ყველამ გამოცდებზე დავამტკიცეთ!. . 21 სერტიფიცირებული პედაგოგი, მათ შორის სამი 1000 ლარიანი, ეს ცოტას არ ნიშნავს და ასეთი შედეგით თბილისის სკოლებიც ვერ დაიტრაბახებენ. 200 ლარიანებიც ბევრი გვყავს, რომლებიც ჯერ ვერ მოხვდნენ, თუმცა მზადება გრძელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

პირველი დღე სამრეკლოს საჯარო სკოლაში

საზეიმო განწყობა იყო შექმნილი დილიდანვე სამრეკლოს საჯარო სკოლაში, სასიამოვნო მუსიკის ფონზე სკოლის ეზო ნელნელა ივსებოდა სწავლას მოწყურებული გოგო-ბიჭებით. . .

საზეიმო დილას გამართულ ღონისძიებას XII-ე კლასის მოსწავლე რუსუდან ყოჩიაშვილი უძღვებოდა. მას სოფლის მოძღვარი მამა გაბრიელი და სამრეკლოს მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში ილია ტალიაშვილი ესწრებოდნენ.

მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და სოფლის საზოგადოებას სწავლის დაწყება მიულოცა სკოლის დირექტორმა მაია ნასრაშვილმა. მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე და პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარება მიულოცა.

ნასრაშვილმა საზოგადოებას გააცნო სკოლის წარმატებული მოსწავლეები, რომლებმაც გასულ სასწავლო წელს სხვადასხვა კონკურსებსა თუ ღონისძიებებში თავი გამოიჩინეს. სკოლის დირექციამ 17 პირველკლასელს საზეიმო ვითარებაში გადასცა პრეზიდენტის საჩუქარი ნეტბუკები და სასკოლო ჩანთები.

მხატვრული ნომრით წარსდგნენ სკოლის მოსწავლეები თინათინ აჩელაშვილი, სალომე სიმონიძე, მაგდა გოგილაშვილი, ლანა ყოჩიაშვილი, ანა ჩითინაშვილი, თეონა შეითნიშვილი, მერი ბოსტოღანაშვილი, მარიამ ბოსტოღანაშვილი, ელენე სულაშვილი, ნიკა კვანჭილაშვილი, გურამ გოგილაშვილი, მარიამ კვანჭილაშვილი.

საზეიმო დილაზე სიტყვით გამოვიდა სკოლის თვითმართველობის წარმომადგენელი თამარ გოგილაშვილი, რომელმაც ისაუბრა იმ ჩატარებულ ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, რითაც გასული წელი გამოირჩეოდა. მანვე გამოავლინა ტრადიციული კონკურსის: „მასწავლებლები სხვადასხვა ნომინაციებში“ გამარჯვებულები.

ღონისძიების დასასრულს, მამა გაბრიელმა იქ შეკრებილი მრევლი დალოცა და მოსწავლეებს ცოდნის დაუფლების დიდ გზაზე წარმატებები უსურვა.

შემდეგ კი ტრადიციულად შესრულდა ჰიმნი, რომლის ფონზე აღიმართა საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა და დაირეკა სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი.

განახლებული სკოლა – ახალი შემართებით!

17 სექტემბერს, ისე როგორც მთელ საქართველოში, დედოფლისწყაროს სკოლებშიც ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ეს დღე ყველა სკოლამ ზეიმით აღნიშნა. გამორჩეული სიხარულით იზეიმეს ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა. მათი სიხარულის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ამ ზაფხულს სკოლაში სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა, რაც სკოლის ესთეტიკურ გაჯანსაღებას გულისხმობდა.

პირველ ეტაპზე, გასულ წლებში, ჭერი და ფანჯრები გამოიცვალა, გაკეთდა გათბობის სისტემა, ახლა კი, ძველი ხის იატაკები შეიცვალა თანამედროვე ლამინირებული იატაკებით, გამოიცვალა კარებები, შეილესა და შეიღება შენობა შიგნიდანაც და გარედანაც. ერთი რამ, რაც თანხების უქონლობის გამო, ვერ მოხერხდა, ახალი ინვენტარის შეძენაა. თუმცა, გამონაკლისი არიან პირველკლასელები – მათ ახალი მერხები და ბუკები დახვდათ საჩუქრად. ეს ყველაფერი კი, ძირითადად, განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი 100 ათასი ლარით გაკეთადა.

მართალია, 5 საკლასო ოთახის და სპორტდარბაზის იატაკის გამოცვლა ამ თანხებში ვერ ჩაეტია, მაგრამ სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო ხარჯებით მათი განახლებაც მოახერხა. ასევე განახლდა სკოლის მესერი და ჭიშკარი, რითაც ეზო სრულად იქნება დაცული. ეს კი საშუალებას მისცემთ, კეთილმოაწყონ, გაამწვანონ და გაალამაზონ სკოლის ეზო. რთული რელიეფური მდებარეობა აქვს ამ სკოლას, ზამთარში, დიდთოვლობისას აღმართზე ასვლა უჭირთ ბავშვებსაც და უფროსებსაც, ამიტომ შესასვლელს მთელ სიგრძეზე ხელის მოსაკიდი საბჯენი მოაჯირი დაუმონტაჟდა, რაც მათი უსაფრთხოების გარანტი იქნება. ასე რომ, მეორეკლასელებმა ახალი სასაწავლო წელი განახლებულ შენობაში დაიწყეს.

დილის 9 საათზე ეზოში თავმოყრილ ბავშვებს, მშობლებს და პედაგოგებს სკოლის დირექტორი ია ლაპიაშვილი მიესალმა, მიულოცა სასწავლო წლის დაწყება, განახლებული შენობა, მოუწოდა, გაუფრთხილდნენ მას და პატივი სცენ იმ შრომას და ამაგს, რაც განათლების სამინისტრომ, მშენებლებმა, სკოლის ადმინისტრაციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა და თვით მოსწავლეებმა ჩადეს მასში. დირექტორმა მადლობის სიგელები გადასცა იმ მოსწავლეებს, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო შენობისა თუ ეზოს დალაგება-დასუფთავებაში. ასევე შეაჯამა გასული სასწავლო წელი და სწავლისა თუ კლასგარეშე მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის, სასწავლო კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებში მოპოვებული გამარჯვებისათვის მოსწავლეებს გადასცა შესაბამისი ჯილდოები, ხოლო პირველკლასელებს – ბუკები. ქალბატონმა იამ დამსწრეთ კიდევ ერთი ახალი ინფორმაცია მიაწოდა: – მართალია, თითქმის ოთხი ათეული წლის წინ, როცა ეს სკოლა გაიხსნა, სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა, მაგრამ, რადგან ახლა სასწავლო წელი 17 სექტემბერს დაიწყო, სკოლის ადმინისტრაციამ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად გადაწყვიტა, რომ ყოველი წლის 17 სექტემბერს იყოს სკოლის დაბადების დღე. ამ დღის აღსანიშნავად სკოლას თავის სლოგანად ექნება დიდი სოკრატეს სიტყვები „ ყველა ადამიანში არის მზე, მხოლოდ ანათებინეთ“, ხოლო მისი ლოგო იქნება „მისწვდი მზეს!“ სკოლას აქვს თავისი ჰიმნი, რომელსაც ახლა ჩვენი სკოლის გოგონათა გუნდი შეასრულებს – თქვა დირექტორმა და ასაპარეზი გოგონებს დაუთმო, რომლებმაც ჰიმნის ქართულ-უცხოური სიმღერების პოპური მოაყოლეს და მთელი ეზო ააცეკვეს. მერე ზარიც დაირეკა და ყველამ ეზოდან შენობაში გადაინაცვლა, სადაც გაჩახჩახებული დერეფნები და საკლასო ოთახები მხიარული ფერებით შეეგება. დერეფნებს, ფანჯრის რაფებსა თუ საკლასო ოთახებს ბიოლოგიის პედაგოგის გულნარა ღორაშვილის მიერ გამოზრდილ-ნალოლიავები უამრავი ყვავილი ამშვენებდა, ასევე მოსწავლეების განკარგულებაში იქნება თანამედროვე სტანდარტების კეთილმოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრი. ზეიმის კულიმინაცია გახლდათ ლურჯ, კამკამა ცაზე ფერადი ფრანების გაშვება, რომელსაც სკოლის სლოგანი და მისამართი ეწერა. დღის მეორე ნახევარში გაიმართა დისკოთეკა, რომელიც წინასწარ დერეფანში გამოკრული პროგრამით წარიმართა და რომელშიც კლასებს მათ მიერ არჩეული აქტივობების მიხედვით შეეძლოთ თავი გამოეჩინათ. აქტივობები კი ასეთი გახლდათ: 1. პოეზიის 5 წუთი; 2. იუმორისტული ნომრები; 3. მსოფლიოს საოცარი ფაქტები. მხიარელებამ დიდხანს გასტანა.

შთაბეჭდილებას გვიზიარებს 10 კლასის მოსწავლე ***რუსუდან ჯორკოშვილი:*** – გასულ წელს №1 საჯარო სკოლიდან გადმოვედი ამ სკოლაში. მართალია ძალიან კმაყოფილი ვიყავი პედაგოგებისაც და ახალი თანაკლასელებსაც, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, გული მწყდებოდა, ეს სკოლა ისეთი ლამაზი და კეთილმოწყობილი რომ ვერ იყო, როგორც პირველი სკოლა. ახლა ძალიან გახარებული ვარ, დიპლომებიც მივიღე რამოდენიმე საგანში მიღწეული გვანიჭა.

ვესაუბრებით სკოლის დირექტორს ია ლაპიაშვილს.

– ქალბატონო ია, როგორ დაამთავრეთ გასული სასწავლო წელი, რა წარმატებები გქონდათ, რამდენი კურსდამთავრებული გაუშვით და რამდენმა მოიპოვა სტუდენტის ტიტული?

- ჩვენი სკოლა დიდი არ არის. გასულ წელს სულ 229 მოსწავლე გვყავდა, ამიტომ კლასები გადატვირთული არ არის მოსწავლეებით, სწავლების ხარისხიც მაღალია. ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი გვყავს. წელს უკვე 10 სერთიფიცირებული მასწავლებელია, მათ შორის ერთი ათასლარიანი ინგლისური ენის სპეციალისტი მარინა შანშიაშვილი ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში. სწორედ ამან განაპირობა, რომ ბევრმა ბავშვმა მოიპოვა დიპლომები და სიგელები სხვადასხვა საგანში გამართულ ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში. მეცხრე კლასის 8 მოსწავლემ პრეზიდენტის საჩუქარი კომპიუტერიც დაიმსახურა, მეათეკლასელი **სოფო მენთეშაშვილმა** ორკვირიანი ინგლისური ენის შემსწავლელი საგზური მოიპოვა და ინგლისში იმყოფებოდა, სადაც მას „ქართული საოცრება“ უწოდეს.

სკოლა 25 მოსწავლემ დაამთავრა. აქედან 14 ბავშვმა ჩააბარა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, 30%-იანი დაფინანსება მოიპოვა მხოლოდ ერთმა – მზისხარ ცისკარაულმა.

– როგორი შევსება მიიღეთ?

– პირველკლასელები ცოტა გვყავს, სულ თორმეტია. მართალია, ბევრი ბავშვი წავიდა პროფესიულ სასწავლებლებსა და კოლეჯებში, მაგრამ ახალი ნაკადიც მოვიდა, საკმაოდ ბევრი ბავშვი გადმოვიდა სხვა სკოლებიდან და მოსწავლეთა რაოდენობა, თითქმის, არ შეცვლილა.

– ვინ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, კმაყოფილი ხართ მისი ხარისხით?

– როდესაც განათლების სამინისტრომ 100 ათასი ლარი გამოგვიყო, ჩვენ ტენდერი გამოვაცხადეთ. გაიმარჯვა გურჯაანის სამშენებლო ბრიგადამ ომარ უტიაშვილის ხელმძღვანელობით. კარგად იმუშავეს, უკმაყოფილო არ ვართ. მაგრამ 5 საკლასო ოთახის და სპორტდფარბაზის შეკეთება სკოლის სახსრებით მოგვიხდა. საბოლოო ჯამში, სკოლის ეს კორპუსი გარემონტებულია. მომავალში დაწყებითი სწავლების კორპუსსაც მივხედავთ, ალბათ. მთელი კოლექტივის სახელით მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა განათლების სამინისტროს ფინანსური უზრუნველყოფისათვის, ადგილობრივ ხელმძღვანელობას მხარდაჭერისათვის, რესურცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ლევან ჯამალაშვილს და შპს „სერვისი 2007“-ის ხელმძღვანელს ილია ტალიაშვილს, რომელიც უანგაროდ მოგვეხმარა სამშენებლო ნარჩენების გაზიდვა-დასაწყობებასა და სხვა სამუშაოების შესრულებაში. თავი არ დაზოგეს პედაგოგებმა, დამლაგებლებმა, მოსწავლეებმა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

– სასწავლო წლის პირველი დღე თქვენთან ასეთი გრანდიოზული არასოდეს ყოფილა, ვინ მოამზადა, ვისი იდეა იყო?

– წელს ხელშეკრულებით სამუშაოდ მივიღეთ ჩვენი სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებული მაია კეტეციანი, რომელიც, თავის დროზე, საუკეთესო მოსწავლე იყო, აქამდე ცხოვრობდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში. ახლა ის ხანდაზმული დედის მოსავლელად დედოფლისწყაროში ოჯახთან ერთად დაბრუნდა. ორი საუკეთესო მოსწავლეც შეგვძინა და თავისი დედაქალაქური გამოცდილებაც გაგვიზიარა. ეს პროგრამა მისი მომზადებულია. ის ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანია. იმედი გვაქვს დღეიდან ჩვენი ღონისძიებები სულ სხვაგვარი იქნება და ტოლს არ დავუდებთ არცერთ სკოლას. წინ სიახლეებით სავსე, რთული წელი გველოდება. ყველანი ერთად განახლებულ სკოლაში ახალი შემართებით ჩვენი მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

- წარმატებებს გისურვებთ.
- გმადლობთ.

ნაირა გორაშვილი

დაკომპლექტდა საუბნო საარჩევნო კომისიები

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	1	ელიზბარ	იმერლიშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	1	კახა	ხოსროშვილი	მოადგილე	საოლქო
3	1	ნინო	ტოკლიკიშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხოპარტია
4	1	მაკა	გოგიჩაშვილი	წევრი	საოლქო
5	1	ეკატერინე	ბაკაშვილი	წევრი	საოლქო
6	1	მაია	ჯანიაშვილი	წევრი	საოლქო
7	1	დალი	ალადაშვილი	წევრი	საოლქო
8	1	დალი	თედეევი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	1	ნანული	ბოსტაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	1	მეგი	ბენაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	1	ეკატერინე	ვარდიშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	1	ჯულიეტა	პოპიაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	1	ნათელა	თამაზაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	2	ნოდარ	ტოკლიკიშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	2	გიორგი	ალუღლიშვილი	მოადგილე	საოლქო
3	2	ნინო	წიკლაური	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხოპარტია
4	2	მაია	კურტანიძე	წევრი	საოლქო
5	2	ნონა	კვანჭილაშვილი	წევრი	საოლქო
6	2	ხათუნა	ბენაშვილი-სეფიაშვილი	წევრი	საოლქო
7	2	მარინე	ნატროშვილი	წევრი	საოლქო
8	2	გენადი	ჯანაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	2	გივი	პოპიაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	2	ლელა	ბილღიაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	2	მაკა	ჯანაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	2	ნანული	ნატროშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	2	ბესიკი	ციხკარაული	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	3	ნოდარ	კოჭლამაზაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	3	ნონა	ჯიბლაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	3	ქეთევან	ლაპიაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხოპარტია
4	3	ნათელა	ნათელაძე	წევრი	საოლქო
5	3	ხათუნა	ხატიაშვილი	წევრი	საოლქო
6	3	ქეთევან	რამაზანაშვილი	წევრი	საოლქო
7	3	ნანა	სეხნიაშვილი	წევრი	საოლქო
8	3	ნანული	ბექაური	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	3	ეთერ	ელიზბარაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	3	მზია	გოგაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	3	ირმა	თარაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	3	ივანე	გიგოლაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	3	ნათელა	ცაბაურაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	4	ნუკრი	ბალაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	4	მაყვალა	ბუკია	მოადგილე	საოლქო
3	4	თამარ	ბაცაცაშვილი	მდივანი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
4	4	ნონა	ბაზალაშვილი	წევრი	საოლქო
5	4	თამარ	ღორაშვილი	წევრი	საოლქო
6	4	ნელი	მეწოეშაშვილი	წევრი	საოლქო
7	4	მანანა	ჭიაბრიშვილი	წევრი	საოლქო
8	4	ლიკა	ბატიაშვილი	წევრი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხოპარტია
9	4	ნონა	ზუბიაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
10	4	ნათელა	გონაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	4	ეკატერინე	ტეტელოშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	4	მამუკა	კოჭლამაზაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	4	ოლია	ბიკაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	5	ციალა	მაკარიძე	თავმჯდომარე	საოლქო
2	5	მარიკა	ცქიტიშვილი	მოადგილე	საოლქო
3	5	ანა	ლათიბაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხოპარტია
4	5	ნონა	ქურხულიშვილი	წევრი	საოლქო
5	5	ვარაზ	კოხტაშვილი	წევრი	საოლქო
6	5	ბელა	კოჭლამაზაშვილი	წევრი	საოლქო
7	5	ქეთევან	გოგილაშვილი	წევრი	საოლქო
8	5	თამაზ	გოგიაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	5	გივი	თარაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	5	მარინე	თევზაძე	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	5	ნატალია	ლეკიაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	5	მარინა	ოზაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	5	ნინო	ოზაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	6	ნინო	გონაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	6	მიხეილ	თარაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	6	ანა	თარაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	6	ანნა	გურაშვილი	წევრი	საოლქო
5	6	მზევინარ	ბურდული	წევრი	საოლქო
6	6	ქეთინო	ფიროსმანაშვილი	წევრი	საოლქო
7	6	თამარ	კოტაშვილი	წევრი	საოლქო
8	6	ეკა	ფიროსმანაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	6	მზია	შეითნიშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	6	ია	ინაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	6	თამარ	გიგაური	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	6	გიორგი	ზვიადაური	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	6	მამუკა	ჭინჭარაული	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	7	ივანე	შანშიაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	7	ანა	გონაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	7	ირმა	გარსევნიშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	7	ინესა	მჭედლიშვილი	წევრი	საოლქო
5	7	ლია	ანდრიაშვილი	წევრი	საოლქო
6	7	ლინა	ბოსტაშვილი	წევრი	საოლქო
7	7	მაია	ვარდაშევი	წევრი	საოლქო
8	7	ნაირა	ზურიკაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	7	ანა	ზოროღლიანი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	7	ქეთევან	ალადაშვილი-ხიხაძე	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	7	ელისო	პაპუაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	7	ეკატერინე	მანგოშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	7	მიხეილ	ბახუტაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	8	ალექსანდრე	პაპაჩაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	8	მარიამ	პაპაჩაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	8	მანანა	ჯანაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	8	ეკატერინე	მაძღარაშვილი	წევრი	საოლქო
5	8	ირა	ჭიკაძე	წევრი	საოლქო
6	8	ევგენია	ნატროშვილი	წევრი	საოლქო
7	8	ეკატერინე	ოზბეთელაშვილი	წევრი	საოლქო
8	8	ნუნუ	ნატროშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	8	მედეია	ნატროშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	8	ნანი	ნატროშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	8	მაკა	ნასრაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	8	ნოდარ	ტოკლიკიშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	8	ქეთევან	უძილაური	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	9	ალიკო	ნატროშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	9	ქეთევან	ნატროშვილი	მოადგილე	საოლქო
3	9	ლილი	ბოსტაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	9	გოჩა	ქადაგიძე	წევრი	საოლქო
5	9	ნათია	ჯამასპიშვილი	წევრი	საოლქო
6	9	მაკა	ბენაშვილი	წევრი	საოლქო
7	9	ცისმარი	პოპიაშვილი	წევრი	საოლქო
8	9	ნარგიზი	როზიტაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	9	ელენე	ცაკაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	9	ნინო	ნატროშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	9	შორენა	ყოჩიაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	9	ვასილ	სიფრაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	9	ეთერ	სიფრაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	10	ნუგზარ	ალუღიშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	10	ლია	ახალაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	10	ლია	სეხნიაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	10	მარინე	ბეროშვილი	წევრი	საოლქო
5	10	გიორგი	გოზეჯიშვილი	წევრი	საოლქო
6	10	მალხაზ	გონაშვილი	წევრი	საოლქო
7	10	ნაირა	ყოჩიაშვილი	წევრი	საოლქო
8	10	ელიზა	ყოჩიაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	10	ია	ნასრაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	10	მაია	გოგაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	10	ნინო	ტეტელოშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	10	აკაკი	თარაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	10	სოლომონ	ღორაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	11	გიორგი	ყოჩიაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	11	თემურ	გოგილაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	11	მაია	ალადაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	11	მარინე	ოზაშვილი	წევრი	საოლქო
5	11	მანანა	წიკლაური	წევრი	საოლქო
6	11	ქეთევან	ჩუბინიძე	წევრი	საოლქო
7	11	რუსუდან	ნატროშვილი	წევრი	საოლქო
8	11	გურანდა	ბოსტოღანაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	11	ხათუნა	როზიტაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	11	ირინე	თეთვაძე	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	11	კობა	არაბული	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	11	ლელა	ზვიადაური	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	11	ნინო	ბეგიაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამწიშნავი სუბიექტი
1	12	გივი	ბუჩუკური	თავმჯდომარე	საოლქო
2	12	ზურაბ	ჩოხელი	მოადგილე	საოლქო
3	12	ნინო	აფციაური	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	12	ნინო	გვრიტიშვილი	წევრი	საოლქო
5	12	ნანა	ბექიშვილი	წევრი	საოლქო
6	12	ნინა	ახობაძე	წევრი	საოლქო
7	12	ქეთევან	კედელაშვილი	წევრი	საოლქო
8	12	ალექსანდრე	ოღაძე	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	12	ნინო	გაგაძე	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	12	მაია	ბუჩუკური	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	12	ლალი	თათარაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	12	ნანული	პავლიაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	12	ენგული	ბექაური	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	13	თეიმურაზ	ბუნტური	თავმჯდომარე	საოლქო
2	13	მაია	მიდელაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	13	თამარ	ქენქაძე	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	13	ლუიზა	ბაიაშვილი	წევრი	საოლქო
5	13	ნინო	პეტრიაშვილი	წევრი	საოლქო
6	13	ნელი	გვრიტიშვილი	წევრი	საოლქო
7	13	ნანული	ჭინჭარაული	წევრი	საოლქო
8	13	ქეთევან	გვრიტიშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	13	ლია	ყველაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	13	მზევინარ	ოღაძე	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	13	მზია	თეზელაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	13	გელა	თანდილაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	13	ჟენია	ბუქური	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	14	თენგიზ	ჭინჭარაული	თავმჯდომარე	საოლქო
2	14	ნუნუ	ჩოქური	მოადგილე	საოლქო
3	14	მარინე	მნათობიშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	14	მაია	მნათობიშვილი	წევრი	საოლქო
5	14	ეთერ	ჭინჭარაული	წევრი	საოლქო
6	14	ნონა	ბედუკაძე	წევრი	საოლქო
7	14	ელიკო	თაფლოშვილი-ორკონიკიძე	წევრი	საოლქო
8	14	ქეთო	ფხიკლეშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	14	რუსლან	ბურდული	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	14	თინა	ბურდული	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	14	ზვიად	ოგბაიძე	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	14	ალექსი	ჭინჭარაული	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	14	თამარ	ვეშაგური	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	15	გიორგი	წიკლაური	თავმჯდომარე	საოლქო
2	15	თამარ	ქუმსიაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	15	ნინო	ბაინდურაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	15	დარეჯან	მახაური	წევრი	საოლქო
5	15	თინა	მჭედლური	წევრი	საოლქო
6	15	ლელა	დემეტრაშვილი	წევრი	საოლქო
7	15	ნათელა	ბოძაშვილი	წევრი	საოლქო
8	15	ნონა	წიკლაური	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	15	ბელა	ნათათრალაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	15	თეა	ბურდული	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	15	ნუნუ	ბუჯირიშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	15	თამარ	ჩარბოდაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	15	მერი	ხიზანაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	16	ნუგზარი	კილაძე	თავმჯდომარე	საოლქო
2	16	ქეთევან	ნადირაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	16	ირმა	ათაბაგი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	16	მანანა	ბოლქვაძე	წევრი	საოლქო
5	16	თამილა	თაგოშვილი	წევრი	საოლქო
6	16	შალვა	თაგოშვილი	წევრი	საოლქო
7	16	ფრიდონ	მახარაძე	წევრი	საოლქო
8	16	გულო	ემრაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	16	ოთარ	ფუტკარაძე	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	16	ელენე	გრიგორიადისი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	16	თემურ	დიმიტრაძე	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	16	გულო	ნადირაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	16	ნუგზარ	აბაშიძე	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	17	შოთა	სურმანიძე	თავმჯდომარე	საოლქო
2	17	ნოდარ	ხოზრევანიძე	მოადგილე	საოლქო
3	17	მზიური	ფუტკარაძე	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	17	რამინი	წილოსანი	წევრი	საოლქო
5	17	მზია	ხილაძე	წევრი	საოლქო
6	17	რომან	ფუტკარაძე	წევრი	საოლქო
7	17	თემურ	ასლანიძე	წევრი	საოლქო
8	17	დარეჯან	ასლანიძე	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	17	ირმა	თავდგირიძე	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	17	ტარიელ	ფუტკარაძე	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	17	ლალი	სურმანიძე	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	17	ციური	ტაკიძე	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	17	თემურ	მურვანიძე	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	18	ნუნუ	ქადაგიშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	18	კარინე	მოსიანი	მოადგილე	საოლქო
3	18	სედა	არუსტამიანი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	18	აიდა	აბაზიანი	წევრი	საოლქო
5	18	გენადი	ჩოვუშიანი	წევრი	საოლქო
6	18	მარიამ	აივაზიანი	წევრი	საოლქო
7	18	სამველ	აღაჯანიანი	წევრი	საოლქო
8	18	ლამზირა	სურმანიძე	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	18	რობერტ	სოფიან	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	18	ანაიდა	არზუმანიან	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	18	მაია	მაზიაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	18	ემზარ	ბურდული	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	18	ზაზა	ბუბუნაური	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	19	გიორგი	რობიტაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	19	თამაზ	კირვალიძე	მოადგილე	საოლქო
3	19	ხათუნა	ლაპიაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	19	მაია	ყორჩიაშვილი	წევრი	საოლქო
5	19	ნატო	პაპუაშვილი	წევრი	საოლქო
6	19	თამარი	ხარაშვილი	წევრი	საოლქო
7	19	ლალი	წიკლაური	წევრი	საოლქო
8	19	ლარისა	ყაველაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	19	რუსუდან	შეითნიშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	19	ნათელა	ქერაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	19	მაია	ჩუთლაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	19	მარინა	ქადაგიშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	19	მარინა	შეითნიშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	20	დავით	დუღაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	20	ნაზი	მოსაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	20	ლიანა	ნასრაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	20	ვაჟა	მარტყოფლიშვილი	წევრი	საოლქო
5	20	ჯულიეტა	გოგილაშვილი	წევრი	საოლქო
6	20	თამარ	აბულაშვილი	წევრი	საოლქო
7	20	აზა	ლაპიაშვილი	წევრი	საოლქო
8	20	მაია	ტოკლიკიშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	20	მაია	ბენაშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	20	ნანი	ჯალიაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	20	ნანა	კვანჭილაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	20	ირმა	ბენაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	20	მარინე	ბენაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	21	ვისერგი	გუმაშვილი	თავმჯდომარე	საოლქო
2	21	მანანა	მუღალაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	21	ნანი	ფოცხვერაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	21	ნინო	ხუციშვილი	წევრი	საოლქო
5	21	ეთერ	პავლიაშვილი	წევრი	საოლქო
6	21	ნოდარ	ფიროსმანაშვილი	წევრი	საოლქო
7	21	მაკა	ზურაშვილი	წევრი	საოლქო
8	21	სოფიო	ბაბაკიშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	21	ლალი	იაკობიშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	21	ზვიად	ჯოჯიკაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	21	მანანა	ლამაზოშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	21	ნატალია	მაძღარაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	21	ლამარა	ღვედაშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	22	ვიოლეტა	დავთიანი	თავმჯდომარე	საოლქო
2	22	ნინო	თეთრაული	მოადგილე	საოლქო
3	22	თეონა	მილაშვილი	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	22	ნათელა	ბატიაშვილი	წევრი	საოლქო
5	22	ელმირა	კარაპეტიანი	წევრი	საოლქო
6	22	სვეტლანა	აზიმოვა	წევრი	საოლქო
7	22	ჟანა	ბაბაიანი	წევრი	საოლქო
8	22	დავით	ჯაგაშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	22	მაია	ნაცვლიშვილი	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	22	ნინო	დევრისაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	22	ეთერ	ოთარაშვილი	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	22	ოქსანა	რამაზანაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	22	ციცინო	ვარდაშევი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

№	უბნის N	სახელი	გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	23	ზაზა	თეთრაული	თავმჯდომარე	საოლქო
2	23	მაკა	ბაინდურაშვილი	მოადგილე	საოლქო
3	23	ნანი	წიკლაური	მდივანი	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
4	23	მარინა	ცინცაძე	წევრი	საოლქო
5	23	ნინო	ბუქური	წევრი	საოლქო
6	23	ინგა	ნადირაშვილი	წევრი	საოლქო
7	23	თამარ	ბერიანიძე	წევრი	საოლქო
8	23	თამარ	ჩიტოშვილი	წევრი	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
9	23	თამარ	ქერაული	წევრი	ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
10	23	მაგდა	ყარალაშვილი	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	23	თინათინ	წიკლაური	წევრი	საქართველოს ევროპელი დემოკრატები
12	23	ნათელა	დიდებაშვილი	წევრი	საქართველოს კონსერვატიული პარტია
13	23	მანანა	უძილაური	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს

ხსოვნა

ვლადიმერ (ვალიკო) კვანჭილაშვილი



უკვე სამი წელია, რაც გარდაიცვალე და მარადიულ სასუფეველში დაიდე ბინა. ტკივილამდე გვენატრები, პაპა! შენი სიკვდილი შემაძრწუნებელი იყო ჩვენთვის, შენ ხომ გამორჩეული იყავი შენი ადამიანობით, ალალი, უანგარო, უბოროტო, იუმორით სავსე, რომელიც უზომო სითბოს და სიყვარულს აფრქვევდი. ისე იცხოვრე, რომ შენს ნაკვალევს მცირე ჩრდილი და ლაქა არ ამჩნევია. შენნაირი ადამიანები სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობენ დიდხანს.

შენ მარტო თვალსაწიერს გასცდი, მაგრამ მუდამ ჩვენს გულში იქნები. შენს მიერ გაცემული დიდი სიკეთე, სითბო და სიყვარული ცხოვრებაში ყოველთვის გაგვინათებს გზას შენს შვილიშვილებს. 20 სექტემბერს მოვალთ შენს საფლავთან და აგინთებთ წმინდა სანთლებს. ასე იქნება მარად, სანამ ცოცხლები ვიქნებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ალალი სული, ბებოსთან ერთად. იყავით მარადისობაში - იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ვამაყობთ, რომ თქვენი შვილიშვილობა გვარგუნა ბედმა.

ეკა, მაკა და თამარ
ფიროსმანაშვილები.

სააქციო საზოგადოება მშვიდობა და შპს „მშვიდობა +“-ის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მაია ბაიდოშვილს მეუღლის

ზურაბ გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კლარა ოზაშვილს და გუგული ალადაშვილს დის

თინა ალადაშვილის

გარდაცვალების გამო

ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა საზოგადოების წევრები: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ლია ჩოქური სამძიმარს უცხადებენ რობიზონ იაკობიშვილს მეუღლის

მზია იაკობიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: თენგიზ და თემურ ჯალიაშვილები, თამაზ ჯანიაშვილი, ნოდარ გოგლიძე, ნინა ყორჩიაშვილი, ილია სუხიაშვილი, ზინა გულისაშვილი, დალი ბუნტური, ვასიკო საბიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ კლარა ოზაშვილს გუგული, ალიკა, ლალი ალადაშვილებს

თინა ალადაშვილის

გარდაცვალების გამო.

„მათი ცხოვრების მიზანი მეტი თავისუფლებაა“...

რამდენიმე კვირის წინ ჩვენი გაზეთი წერდა დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლის სოფიო მენთეშაშვილის წარმატებების და მისი საზღვარგარეთ, კერძოდ კი, ინგლისში, ქალაქ ჰასთინგში გამგზავრების შესახებ. ორკვირიანი ვიზიტის შემდეგ, სოფო ინგლისიდან დაბრუნდა და ამჯერად „შირაქს“ ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე უყვება.



- სოფიო, ინგლისის რომელ ქალაქში მდებარეობდა ბაქსვუდის საზაფხულო სკოლა და როგორი იყო იქ გატარებული ორი კვირა, მოგვიყევი მთლიანად რა გარემოში მოხვდი?

- ეს გახლდათ საზაფხულო სკოლა, რომელიც მდებარეობდა ლონდონიდან ცოტა მოშორებით მდებარე ქალაქ ჰასთინგში, რომელიც ულამაზესი იყო თავისი გარემოთი და ბუნებით. ბაქსვუდი ჩვეულებრივი საზაფხულო სკოლაა, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ბავშვი ისვენებს, ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. იქ მოხვედრილი სხვა ბავშვებისგან ჩვენი, ქართველი ბავშვების განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იმ ბავშვების მშობლები ამ სკოლაში მათი შვილის მოხვედრისთვის საკმაოდ დიდ თანხას იხდიდნენ, ხოლო ქართველი ბავშვების ამ ვიზიტს ჩვენი სახელმწიფო აფინანსებდა. ამ სკოლას მსოფლიოში სამი ფილიალი აქვს,რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოშია, ეს გახლავთ წყნეთის საზაფხულო სკოლა, საიდანაც მე მოვხვდი ბაქსვუდში. გვქონდა ინგლისურენოვანი გაკვეთილები, სადაც ძირითადი აქცენტი ენის შესწავლაზე იყო გაკეთებული. გაკვეთილების შემდეგ ყოველდღიურად ეწყობოდა ექსკურსიები. ვიყავით და დავათვალიერეთ ბრიტანეთის, მეცნიერების და მადამ ტიუს ცვილის მუზეუმები. სამჯერ ვიყავით ლონდონში, ვნახეთ ბიგბენი, წმინდა პავლეს კათედრალი, ჰაიდ პარკი,ოქსფორდ სტრიტი, ლონდონაიზე და ბუკინგების სასახლე. თვითონ ქალაქ ჰასტინგში გავდიოდით ზღვაზეც. ეწყობოდა კინოების ჩვენება. მოკლედ ძალიან მომხიბვლელი ტური იყო. კმაყოფილი დავბრუნდი.

- სოფიო, ამბობ, რომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსული ბავშვები, რით განსხვავდებიან ის ბავშვები ქართველი მოსწავლეებისგან, რა არის მათი სამომავლო მიზნები, არიან კი ისინი ისეთი ნაკითხები, როგორიც ჩვენი წარჩინებული მოსწავლეები?

- ძალიან განვითარებული და ზომაზე მეტად თავისუფლები არიან, რაც მე ცოტა არ იყოს, არ მომეწონა. შესაძლოა ჩვენნაირად ნაკითხები არ არიან, მაგრამ ზოგადად, გლობალურ განათლებას უფრო ფლობდნენ, ვიდრე, რომელიმე ვიწრო საკითხებით ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. ისინი თანამედროვე ცხოვრებას აყოლილი ბავშვები არიან, სადღაც ზეცაში დაფრინავენ, რაც ჩვენგან საკმაოდ განასხვავებდათ. ჩვენ, ქართველები ძალიან თავმდაბლები ვიყავით და სერიოზულები. მათი მიზანი, როგორც მე დავინახე, თავისუფლებაა, მათთვის უმთავრესია გახდნენ კიდევ უფრო თავისუფლები, ისწავლონ და მიაღწიონ იმდენს, რომ შეიქმნან მაქსიმალური კომფორტი და დატკბნენ ამ ცხოვრებით.

- კი, მაგრამ, შენი მიზანიც იგივე არაა, საინტერესოა როგორი ურთიერთობა შედგა თქვენსა და მათ შორის?

- ჩემი მიზანიც თითქმის იგივეა, მივაღწიო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს და მივიღო კარგი ცოდნა, მხოლოდ მე ნაკლებ კომფორტსაც დავჯერდები, ოღონდაც ჩემი ცოდნა ჩემს ქვეყანას მოვახმარო. ისინი კი ასე არ ფიქრობენ, მათ ცოდნა და განათლება ისევ საკუთარი კეთილდღეობისთვის და მაქსიმუმი სიამოვნებისთვის უნდათ. ნამდვილად დავინახე სხვაობა იმაში, რომ ჩვენ, ქართველები ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ვართ, მათ კი თავისი ქვეყნის ტრადიციული კერძი რა იყო, ისიც არ იცოდნენ. ურთიერთობა ნამდვილად არ გაგვჭირვებია. ჩვენ ძალიან ბევრს ვესაუბრებოდით საქართველოზე, ჩვენს ტარადიციებზე, კულტურაზე, რომ ჩვენ ძალიან დიდი ისტორიის ერი ვართ, ყურადღებით გვისმენდნენ, თუმცა არ ჰქონიათ სურვილი, რომ თავის ქვეყანაზე ესაუბრათ, რაც ნიშნავდა, რომ მათ ჩვენნაირად ნამდვილად არ უყვართ სამშობლო. აი კიდევ ერთი ნიშანი, რაც გამოგვარჩევდა მათგან!

- რამდენადაც ვიცი სიგელებით დაბრუნდი, რა სიგელებია?

- ბოლო დღეებში ჩატარდა ასეთი ცერემონია, ოსკარებით დაჯილდოება, სადაც თითოეულ ბავშვს აჯილდოებდნენ, ნომინაციები თავად ლიდერებს ჰქონდათ მოფიქრებული, რომელსაც ბავშვებზე დაკვირვების შედეგად არჩევდნენ. მე შემდეგ ნომინაციებში დამაჯილდოვეს, პირველად „ქართველი საოცრება“ გავხდი, ხოლო მეორედ „ყველაზე წმინდად მაცხოვრებელი მოსწავლე“, ასე რომ, ორი სიგელი მერგო წილად.

- მაინტერესებს, რა პირობები იყო ბაქსვუდის სკოლაში?

- ულამაზესი შენობა იყო, თავისი ცეკვის სტუდიით, ცხენოსნობის შემსწავლელი წრით, ხელოვნების სტუდიით და კინოფილმების საჩვენებელი დარბაზით. სკოლა ფლობდა დიდ ტერიტორიას, ისე რომ, შენობის გარეთ პატარა სოფელივით იყო, გარშემო ულამაზესი ბუნებით და კეთილმოწყობილი გარემოთი.

- თავად ინგლისზე და ინგლისელ ხალხზე როგორი წარმოდგენა შეგექმნა, შესაძლებლობა რომ მოგეცეს, ისწავლიდი თუ არა ინგლისში?

-ქვეყანა ძალიან მომეწონა, დახვეწილი, კონსერვატიული ხალხია, ქუჩაში შემხვედრით თუ მაღაზიაში მომსახურე პერსონალით ძალიან მოვიხიბლე, თავაზიანი და ადამიანების დიდად მოყვარული ხალხია, თუ გამოველაპარაკებოდით, რაიმეს ვკითხავდით, ან ფოტოს გადაღებას ვთხოვდით, სიამოვნებით გვთანხმდებოდნენ, ასევე იყო მაღაზიებში. ყველაზე ძალიან მოგვწონა მაღაზია, სადაც ყველაფერი ერთ ფუნტად იყიდებოდა, ერთი ფუნტი ღირდა კარგი სენდვიჩიც და რაიმე სუვენიერსაც ერთ ფუნტად იყიდდი. ამ მაღაზიას ხშირად ვსტუმრობდით და მეგობრებისთვის ბევრი სუვენიერიც შევიძინე. ქალაქს ეტყობოდა, რომ ძველი ტრადიციული კულტურაც არ დაუვიწყებიათ და არც ახალს ჩამორჩებიან, ძველი ახალს ძალიან ფაქიზად და ესთეტიკურად ერწყმოდა. დიახაც, დიდი სიამოვნებით ვისწავლიდი ლონდონში!

- როგორ ფიქრობ დღევანდელი სასკოლო პროგრამა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ამ ცოდნით უმაღლესში ჩააბარო?

- გულწრფელად გითხრათ, არაა საკმარისი და იცით რატომ? ძალიან გამარტივდა პროგრამა, როცა მერვე კლასში ბავშვი ქართულ ზღაპარს „ნაცარქექიას“ სწავლობს, რომელიც ნებისმიერმა ბავშვმა ოთხი წლის ასაკშიც კი იცის, რა თქმა უნდა არაა დამაკმაყოფილებელი სრულფასოვანი ცოდნის მისაღებად. თუ შენ შენით სახლში არ გადაშალე დამატებით წიგნები და საკუთარ თავთან არ იმუშავე, სკოლის პროგრამაზე დაყრდნობით ეროვნულ გამოცდებზე დიდ შედეგებს ვერ მიაღწევ, იმედი მაქვს ახალი მინისტრი სკოლაში სწავლის დონის ამაღლებაზე იზრუნებს.

- სოფიო, მომავალ პროფესიად რა გაქვს განსაზღვრული?

- მიუხედავად იმისა, რომ ვიცი რთული პროფესიაა, მაინც ჟურნალისტობა მინდა. მჯერა, დასახულ მიზანს მივაღწევ!

- ისიც ვიცი, რომ ჩამოსვლისას აქაურმა მეგობრებმა შეხვედრა მოგიწყეს.

- კი, როცა დავბრუნდი, ერთ ერთ სახლში მიმიპატიჟეს აქაურმა მეგობრებმა, თავიდან რამდენიმე შემეგება, ოთახში შესვლისას კი, ყველა მათგანი სამალავიდან გამოვიდა და... ძალიან ლამაზი სიურპრიზი იყო, ყველა მონატრებული მყავდა და რაღა თქმა უნდა, გამიხარდა. თითოეულს ინგლისიდან ჩამოტანილი პატარა საჩუქრები გადავეცი.

რედაქცია ულოცავს სოფიოს წარმატებულ ვიზიტს და კვლავაც წინსვლას უსურვებს. გვჯერა, რომ სოფიო დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევს და მომავალში ძლიერ პროფესიონალად მოგვევლინება.

ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

ნელი შოშიაშვილ-ყოჩიაშვილს!

ჩვენო საყვარელო დედავ და ბებიავ, გილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს - „ღირსების ორდენს“. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ ენერგიას და წარმატებებს შენს საყვარელ საქმიანობაში. იყო ადამიანთა სულის მჭედელი, ადვილი არ არის. იმ სიყვარულს და პატივისცემას, რასაც შენი გამოზრდილებიდან ყოველდღიურად ღებულობ და, პრაქტიკულად შენი სულიერი საზრდოა, მთავრობის მხრიდან დაფასებაც დაერთო. ეს კი სიამაყით გვავსებს. გკოცნით და გეფერებით.

მეუღლე: ჯემალ ყოჩიაშვილი, **შვილები:** ნინო, ნანა, ელზა. **სიძეები:** გიორგი ოზგეთელაშვილი, გოჩა ღვინიაშვილი. **შვილიშვილები:** დაჩი და ნია ოზგეთელაშვილი, ანუკი და ლიზიკო ღვინიაშვილები.

ყურადღება!

თუ გსურთ, ძალიან მოკლე დროში მოიხსნათ ტკივილი (სახსრების, რადიკულიტის, ნევრალგია, ტროფიული წყლულები, ტრომბოფლებიტი, დიაბეტური ანგიოპათიები, თავის ტვინის სისხლძარღვების შევიწროვება, ფილტვების, შარდის ბუშტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება და სხვადასხვა ორგანოების ანთებითი პროცესი) მედიკამენტების გარეშე ხელმისაწვდომ ფასში, მობრძანდით „სამედიცინო ცენტრის“ ლაზერის კაბინეტში. თქვენ მოგემსახურებათ ექიმი **მარინა ქორიძე**. მისამართი: ფიროსმანის ქ. №18

ვაქირავებ!

ვაქირავებ საქორწილო კაბებს. მსურველები დამიკავშირდით

☎ 5(93) 56 84 06; 7(90) 56 84 06

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 22. 09		კვირა 23. 09		ორშაბათი 24. 09		სამშაბათი 25. 09		ოთხშაბათი 26. 09		ხუთშაბათი 27. 09		პარასკევი 28. 09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
23 °	18 °	23 °	16 °	17 °	14 °	17 °	14 °	18 °	16 °	18 °	15 °	19 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ. პ. ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K